5.2 სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევითი პროცესები		
5.2.1	აბიტურიენტების მოზიდვა და სტუდენტების მიღება	
№ დონე	**სრულყოფის დონეების აღწერილობა - ინდიკატორები**	
1	სპეციალური სარეკლამო საქმიანობა უსდ-ში სტუდენტთა მოსაზიდად არ არსებობს. აბიტურიენტებთან მუშაობის სისტემა და მათი მოსამზადებელი კურსები არ არსებობს. მიღების პროცედურა სტანდარტულია და რეგლამენტირებულია შიდა და გარე დოკუმენტებით. ერთიანი პოლიტიკა, დაკავშირებული სტუდენტთა მიღებასთან, რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების შესახებ არ არსებობს.	1-2
2	საქმიანობა უსდ-ში სტუდენტთა მოსაზიდად ხორციელდება ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ინიციატივით (ფაკულტეტი, კათედრა). დანიშნულია პასუხისმგებელი პირები სტუდენტთა მიღების პროცედურაზე და ინფორმაციის გავრცელებაზე. ჩამოყალიბებულია და ხორციელდება მოსამზადებელი კურსები. მიღების პროცედურა რეგლამენტირებულია შიდა და გარე დოკუმენტებით. დაწყებულია სტუდენტთა მიღებასთან, რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკის შემუშავება	3-4
3	ჩამოყალიბებულია და გატარებულია სტუდენტთა მოზიდვასთან, მიღებასთან, რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკა. ხორციელდება სამუსიკო სკოლების კურსდამთავრებულთა მომზადების ანალიზი, მათი აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. სტუდენტთა მიღების პროცედურა დოკუმენტირებულია შიდა დონეზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კონსერვატორია სისტემატიურად აფასებს მიღების რეზულტატებს, თავის პოლიტიკას სტუდენტთა მიღებასა და რეკლამასთან დაკავშირებით.	5-6
4	ჩამოყალიბებულია და ტარდება სტუდენტთა მიღებასთან, რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკა. კონსერვატორიას კავშირი აქვს დამყარებული განსაზღვრულ სკოლებთან და კოლეჯებთან რომლებთანაც თანამშრომლობს. სტუდენტთა მიღების პროცედურა დოკუმენტირებულია და ხორციელდება. ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისაღებ გამოცდების პროცედურებთან, სასწავლო პროგრამებთან, სწავლის პროცესთან დაკავშირებით. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.უსდ რეგულარულად აფასებს მიღების შედეგებს და ადარებს მას სხვა კონკურენტ უსდ-ს მიღწევებს და ხვეწს მას მიღებული შედეგების შესაბამისად.	7-8
5	უსდ-ში არსებობს და გატარებულია სტუდენტთა მიღებასთან, რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკა. კავშირი აქვს დამყარებული სკოლებთან და კოლეჯებთან საქართველოს მასშტაბით. ჩამოყალიბებული აქვს უმაღლესამდე მომზადების განვითარებული სისტემა.	9-10

	ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისაღებ გამოცდების პროცედურებთან, სასწავლო პროგრამებთან, სწავლის პროცესთან დაკავშირებით. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას უსდ რეგულარულად აფასებს მიღების შედეგებს და ადარებს მას წამყვან მსგავსი პროფილის უსდ-ების მიღწევებს ქვეყნის შიგნით და გარეთ და ხვეწს მას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. მოქმედებს აბიტურიენტებთან მუშაობისა და მათი მოზიდვის განვითარებული სისტემა.	